აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების კომისიის სხდომის

ოქმი №5

ქ.ბათუმი

28.03.2014 წ.

სხდომას უძღვებოდა პრიორიტეტების კომისიის თავმჯდომარე - რამაზ ბოლქვაძე (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე).

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები:

იოსებ აბულაძე	- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე;
რომან ბოლქვაძე	- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე;
ვალერი ბერაძე	- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე;
დემურ დიასამიძე	- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უფროსი;
კახა შაშიკაძე	- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
კომისიის მდივანი	- ცირა აბულაძე.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ნათია აფხაზავა - „სი-ეს-აი“ ბათუმის ფილიალის დირექტორი;

გიორგი შალამბერიძე - შპს „IGC&MM“-ის დირექტორის მოადგილე, ეკონომისტი.

დღის წესრიგი:

1. ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შესახებ - მომხსენებელი რამაზ ბოლქვაძე.

2. ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში - „რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა", ,,ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობა", „მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა", სსიპ ,,ბათუმის ბულვარის" პროგრამა, ააიპ „ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის" პროგრამა „დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა" და სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიის" პროგრამა „საფრთხის შემცველი ობიექტებისათვის მომსახურების მიწოდება და მართვა" ცვლილების შეტანის შესახებ - მომხსენებელი რამაზ ბოლქვაძე.

3. მიმდინარე წლის 27 მარტს პრიორიტეტების კომისიის #4 სხდომაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამების - სსიპ ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს" პროგრამა ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია", სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის პროგრამა -,,სპორტის ხელშეწყობა" და ,,ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობა" ცვლილებებზე დასმულ შეკითხვებსა და გამოთქმულ შენიშვნებზე კომისიის წევრის ვალერი ბერაძის განმარტებების მიღების-გათვალისწინების შემდგომ ზემოაღნიშნული პროგრამების ცვლილებების კენჭისყრაზე დაყენება.

4. მიმდინარე წლის 27 მარტს პრიორიტეტების კომისიის #4 სხდომაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამაში - ,,ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა" ცვლილებებზე დასმულ შეკითხვებსა და გამოთქმულ შენიშვნებზე კომისიის წევრის იოსებ აბულაძის განმარტებების მიღების-გათვალისწინების შემდგომ ზემოაღნიშნული პროგრამის ცვლილების კენჭისყრაზე დაყენება.

5. ინფორმაცია პრიორიტეტის კომისიის 2014 წლის 20 მარტის #2 სხდომაზე მოწონებულ პროგრამის ცვლილებაში „საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა" ახალი ცვლილებების შეტანის შესახებ - მომხსენებელი კახა შაშიკაძე;

მოისმინეს:

სხდომის საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა და დაინტერესებულმა მხარეებმა მოისმინეს:

1. კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შესახებ. კერძოდ, რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 165 903,8 ათასი ლარით. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები 2014 წლის დამტკიცებულ საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით იზრდება 14 742,3 ათასი ლარით, შემოსავლების ზრდა შემდეგნაირად გადანაწილდა:

- გრანტები იზრდება 2 500,0 ათასი ლარის ოდენობით. ზრდის საფუძველია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის #272 განკარგულება, რის საფუძველზეც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2013 წელს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად გამოეყო 2 500,0 ათასი ლარი.
- სხვა შემოსავლები იზრდება 1 447,0 ათასი ლარის ოდენობით. დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები 1 000,0 ათასი ლარი; სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 447,0 ათასი ლარი; ზრდის საფუძველია აღნიშნულ სახეებში ფაქტიური და მოსალოდნელი შესრულება.
- ფინანსური აქტივების ცვლილება (თავისუფალი ნაშთი) განისაზღვრა 10 795,3 ათასი ლარით.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები მცირდება 2 248,2 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია სატენდერო წინადადებებით მიღებული ეკონომიით, ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებში გადანაცვლებით, სსიპ - „ბათუმის ბულვარის“ საკუთარი შემოსავლების ზრდისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, თუმცა დამტკიცებულ მაჩვენებელთან შედარებით რესპუბლიკური ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლი იზრდება 16 990,5 ათასი ლარით (სხვაობა 14 742,3 ათასი ლარი) და შეადგენს 165 903,8 ათას ლარს.

ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტს საგზაო სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაციისა და მოვლა შენახვისათვის დამატებით გამოეყო 3 083,4 ათასი ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ა(ა)იპ ბათუმის ტურისტული სააგენტოს საინფორმაციო ცენტრებისა და ადმინისტრაციული სამსახურის გამართული ფუნქციონირებისათვის დამატებით გამოეყო 47,5 ათასი ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბათუმის გმირთა ხეივნის მიმდებარე ტერიტორიების ურბანული განვითარების პროექტის შესყიდვისათვის გამოეყო 100,0 ათასი ლარი;

სახაზინო სამსახურს ელექტრონული ხაზინის დანერგვისათვის საჭირო მოწყობილობების (დიჯიპასი) შესაძენად დამატებით გამოეყო 7,1 ათასი ლარი;

მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამის უზრნველყოფის მიზნით დამატებით გამოიყო 720,0 ათასი ლარი;

აჭარის მყარი ნარჩენების მართვის მომსახურების გაუმჯობესებისა და გაფართოების პროგრამის ფარგლებში საკურსო სხვაობის ანაზღაურების მიზნით დამატებით გამოიყო 128,9 ათასი ლარი;

რეგიონის აგრარული სექტორის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში საკურსო სხვაობის ანაზღაურების მიზნით დამატებით გამოიყო 20,0 ათასი ლარი;

სსიპ „აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს“ სეზონზე სანაპირო ზოლის სრულად დაფარვის მიზნით მაშველთა შრომის ანაზღაურების, სხვა ხარჯებისა და სამეურნეო საქონლისათვის დამატებით გამოეყო 134,6 ათასი ლარი; (ასევე გაიწერა როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთი და 2014 წელს კანონმდებლობით ნებადართული საკუთარი შემოსავლები - 63,2 ათასი ლარით)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთი საშტატო ერთეულის ზრდისათვის დამატებით გამოეყო 10,1 ათასი ლარი;

ქალაქ ბათუმის №6 საჯარო სკოლის გაძლიერებული ფიზიკა-მათემატიკისა და ინკლუზიური სწავლების ქვეპროპგრამის ფარგლებში მცირეფასიანი საოფისე ტექნიკისა და კომპიუტერული ტექნიკის შეძენის მიზნით დამატებით გამოეყო 10,0 ათასი ლარი;

სსიპ „სოფელ სალიბაურის #2 საჯარო სკოლის“ საპანსიონო სუბსიდიისათვის დამატებით გამოიყო 0,8 ათასი ლარი;

ა(ა)იპ „რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლას“ შენობის გაზიფიკაციის დასრულებისა და მუსიკალური ინსტრუმენტების შესაძენად დამატებით გამოეყო 5,5 ათასი ლარი;

ა(ა)იპ -„ქ. ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლას“ საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის, (მასწავლებლისა და მოსწავლის მაგიდები, სკამები, კარადები, საოფისე სავარძლები, ტანსაცმლის საკიდი კარადები, დარბაზის სავარძლების და სხვა ინვენტარის) დამატებით გამოეყო 250,0 ათასი ლარი;

ა(ა)იპ „ქ. ბათუმის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლას“ შენობის სახურავის შეკეთებისა და მიმდინარე რემონტისათვის დამატებით გამოეყო 66,6 ათასი ლარი;

ა(ა)იპ „თანამედროვე ხელოვნების სივრცის“ ფუნქციონირებისათვის დამატებით გამოიყო 149,3 ათასი ლარი;

ა(ა)იპ „ქ.ბათუმის სასპორტო სკოლას“ მწვრთნელ-პედაგოგთა სახელფასო განაკვეთის ზრდის მიზნით დამატებით გამოეყო 68,9 ათასი ლარი;

ა(ა)იპ „ქ.ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსს“ მიმდინარე ხარჯებისთვის დამატებით გამოეყო 3,0 ათასი ლარი;

აჭარის დაცული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების რეაბილიტაცია და კონსერვაციის ღონისძიების ფარგლებში გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ არქიტექტურული მუზეუმის არქეოლოგიური უბნების საკონსერვაციო სამუშაოებისათვის დამატებით გამოიყო 174,0 ათასი ლარი;

სსიპ - „აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმს“ თანამდებობრივი განაკვეთების ზრდის მიზნით დამატებით გამოეყო 86,1 ათასი ლარი;

სსიპ - „ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმს“ თანამდებობრივი განაკვეთების ზრდის, შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების, სხვადასხვა სამუშაოებისა და საგრანტო ნაწილის თანადაფინანსების მიზნით დამატებით გამოეყო 90,6 ათასი ლარი;

სსიპ - „აჭარის ხელოვნების მუზეუმს“ თანამდებობრივი განაკვეთების ზრდისათვის დამატებით გამოეყო 24,8 ათასი ლარი;

სსიპ - „ბათუმის თოჯინებისა და მოზარდმაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრს“ სსიპ „კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს“ მიერ დაკისრებული ჯარიმის, შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების, სცენის მოწყობის სამუშაოებისა და განათება-გახმოვანების აპარატურის მონტაჟისათვის დამატებით გამოეყო 557,6 ათასი ლარი;

სსიპ - „ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრს“ მცირე ექსპერიმენტალური სცენის მოწყობისათვის, ვებგვერდის შექმნისა და მომსახურების ხარჯების ანაზღაურების მიზნით დამატებით გამოეყო 297,8 ათასი ლარი;

სსიპ - „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრს“ გუნდის 10 მსახიობის ხელფასის და 1 საშტატო ერთეულის ზრდისათვის დამატებით გამოეყო 27,0 ათასი ლარი;

სსიპ - „აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს“ მიმდინარე ხარჯების, ერთი საშტატო ერთეულის ზრდისა და განათება-გახმოვანების აპარატურის შესაძენად დამატებით გამოეყო 238,9 ათასი ლარი;

სსიპ - „აჭარის სახელმწიფო ვოკალურ ანსამბლ ბათუმს“ ვებგვერდის შექმნისა და მომსახურებისათვის დამატებით გამოეყო 3,3 ათასი ლარი;

სსიპ - „აჭარის ხალხური ცეკვის ანსამბლ ხორუმს“ ვებგვერდის შექმნისა და მომსახურებისათვის დამატებით გამოეყო 3,3 ათასი ლარი;

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს მიმდინარე ხარჯებისათვის დამატებით გამოეყო 18,2 ათასი ლარი;

სათამაშო სახეობათა განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამა იზრდება 69,3 ათასი ლარით;

ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობის ქვეპროგრამა მსოფლიო ზნატოკიადაში მონაწილეობისა და „მან-სან-კანის შავი ზღვის ლიგის“ ხარჯების ანაზღაურების მიზნით იზრდება 29,0 ათასი ლარით;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპიუტერული ტექნიკისა და სხვა მოწყობილობების შესაძენად დამატებით გამოეყო 16,6 ათასი ლარი;

სსიპ - „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“ ვებგვერდის შექმნისათვის დამატებით გამოეყო 1,7 ათასი ლარი;

სსიპ - „დასაქმების სააგენტოს“ ვებგვერდის განახლებისა და ფოტოაპარატის შეძენისათვის დამატებით გამოეყო 5,6 ათასი ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეპროგრამების მოსახლეობაზე გაცნობის მიზნით საცნობარო ბროშურების დამზადების და სამინისტროს ისტორიის შესახებ ბეჭდვითი მომსახურების ხარჯების, ასევე კომპიუტერის, ასლგადამღების და პრინტერის შეძენის მიზნით დამატებით გამოეყო 10,0 ათასი ლარი;

სასოფლო–სამეურნეო კოოპერატივების შემდგომი განვითარების ხელმწყობი ღონისძიებების განხორციელების ქვეპროგრამა იზრდება 35,0 ათასი ლარით;

ა(ა)იპ „აგრესერვისცენტრს" სანერგე მეურნეობის მომვლელების 4 საშტატო ერთეულის ზრდის, ჩაქვის ციტრუსოვანთა სანერგე მეურნეობის საკონსულტაციო ოფისში სარემონტო სამუშაოების, გვარა-ხუცუბნის სანერგე მეურნეობის გაზიფიცირებისათვის გვარა-ხუცუბნის სანერგე მეურნეობაში მარანის მშენებლობის, ციტრუსისა და ხილის დამხარისხებელი დანადგარებისა და სამაცივრე საკანისათვის ანგარის მოწყობისათვის დამატებით გამოეყო 567,6 ათასი ლარი;

სსიპ „ლაბორატორიულ კვლევით ცენტრს" ერთი საშტატო ერთეულის ზრდის, ქიმიური რეაქტივების და მაღალი ხარისხის ლაბორატორიული მოწყობილობის შესაძენად დამატებით გამოეყო 43,0 ათასი ლარი;

სსიპ „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს" მიმდინარე რემონტის, მცირეფასიანი ავეჯისა და ინვენტარის შესაძენად დამატებით გამოეყო 100,0 ათასი ლარი;

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარების ზრდის მაჩვენებლი განისაზღვრა 9 785,9 ათასი ლარი, რაც ძირითადად მოხმარდება ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, მათ შორის:

თვითმმართველი ქალაქი ბათუმი 6 224,9 ათასი ლარი;

ქობულეთის მუნიციპალიტეტი 531,7 ათასი ლარი;

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი 1 732,3 ათასი ლარი;

ხულოს მუნიციპალიტეტი 1 297,0 ათასი ლარი;

2. ასევე მოისმინეს რამაზ ბოლქვაძის მოხსენება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში - „რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა", ,,ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობა", მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა, სსიპ ,,ბათუმის ბულვარის" პროგრამის, ააიპ „ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის" პროგრამა „დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა" და სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიის" პროგრამა „საფრთხის შემცველი ობიექტებისათვის მომსახურების მიწოდება და მართვა" - ცვლილებები (დანართი #1).

3. კომისიის წევრის - ვალერი ბერაძის მოხსენება მიმდინარე წლის 27 მარტს პრიორიტეტების კომისიის #4 სხდომაზე დასმულ შეკითხვებსა და გამოთქმულ შენიშვნებზე. კერძოდ, პროგრამის

„სპორტის ხელშეწყობა“ ქვეპროგრამაში „სპორტული ღონისძიებები“ ახალი ღონისძიების „წლის საუკეთესონის დაჯილდოების“ დამატება მოიცავს წლის განმავლობაში რამოდენიმე ნომინაციაში (საუკეთესო სპორტსმენი, მწვრთნელი, ფედერაცია) გამარჯვებულის გამოვლენას, რაც ფაქტიურად წლის შემაჯამებელი ღონისძიებაა და ღონისძიების ფარგლებში განხორციელდება პრიზებისა და ფულადი საჩუქრების გადაცემა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე იგი არ წარმოადგენს სხვა ქვეპროგრამის შემადგენელ ნაწილს. სპორტსმენებისა და მწვრთნელებისათვის მომდევნო წლისათვის უკეთესი შედეგების ჩვენების საფუძველია.

პროგრამა „სპორტის ხელშეწყობა“ ქვეპროგრამაში „აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა, მთავარ და პირად მწვრთნელთა მიერ მიღწეული განსაკუთრებული წარმატებების წასახალისებლად ერთჯერადი ფულადი ჯილდოები“ გასულ წელთან შედარებით თანხები გაზრდილია, რაც სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელებისათვის ახალი წარმატებების მიღწევის სტიმული უნდა იყოს.

პროგრამა „სპორტის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამებში „სათამაშო სახეობათა განვითარების ხელშეწყობა“ და „აჭარის სპორტის სახეობათა ნაკრები გუნდების მზადება ,,ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი თბილისი – 2015“ ცალკე გამოიკვეთა კოორდინატორის ანაზღაურების ხარჯები. აქვე განმარტა, რომ მიმდინარე წლის 27 მარტის #4 პრიორიტეტების კომისის სხდომაზე წარმოდგენილი ქვეპროგრამების ბიუჯეტი „სათამაშო სახეობათა განვითარების ხელშეწყობა“ მცირდება 17,9 ათასი ლარით და ქვეპროგრამა ,,ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი თბილისი – 2015“ 11,0 ათასი ლარით.

ასევე პროგრამის „ახალგაზრდობის საქმეთა სფეროს ხელშეწყობა“ ფარგლებში ღონისძიება მსოფლიო „ზნატოკიადაში“ მონაწილეობა ჩატარდება ოდესაში, სადაც მონაწილეობს აჭარის ინტელექტუალთა ნაკრები გუნდი, რომელიც გაიმართება უკრაინის ქ.ოდესაში, სადაც მონაწილეობას ღებულობს 36 ქვეყნის 78 გუნდი, ბუნებრივია ასეთ საერთაშორისო ტიპის ღონისძიებებში უმნიშვნელოვანესია ჩვენი რეგიონის მონაწილეობა,რაც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ჩვენ ქვეყანასა და ჩვენს რეგიონს.

ვალერი ბერაძე განმარტავს, მან-სან-კანის შავი ზღვის ლიგაში მონაწილეობის მიღება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს, რადგან ეს არის ძალიან კარგი შესაძლებლობა ახალგაზრდებისათვის წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები ფართო მასების წინაშე მოახდინონ მათი ნიჭის რეალიზება არამარტო რეგიონის დონეზე არამედ ,შავი ზღვის აუზის ქვეყნების მონაწილე გუნდების წინაშე. პროექტი მასშტაბურია და სამომავლოდ შესაძლოა ის გახდეს რეგიონში წამყვანი ღონისძიება. მას აქვს პერსპექტივა გახდეს რეგიონში არსებული ქართული და უცხოეური უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის შეხვედრების ადგილი, გახდეს შავიზღვისპირეთში მან-სან-კანის რეგიონალური ჰაბი.

გარდა ამისა ვალერი ბერაძის ინფორმაციით სავარაუდოდ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს პროგრამით ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია" მოთხოვნილი ახალი ღონისძიების სარფის ეკლესიის საკონსერვაციო სამუშაოებისათვის 31,0 ათასი ლარის დამატებით მოთხოვნა არ მოხდება, რადგანაც სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ 2014 წლის 28 მარტს დადგინდა, რომ

სარფის ეკლესიაზე უკვე მიმდინარეობს ჩვენგან დამოუკიდებლად სარესტავრაციო სამუშაოები. ჩატარებული სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე, სააგენტოს მიერ აღნიშნული ღონისძიების განხორციელება ვეღარ მოხდებოდა, ვინაიდან ჩვენს მიერ შეძენილი პროექტით სამუშაოების ჩატარება უკვე შეუძლებელია ძეგლის საერთო მდგომარეობიდან გამომდინარე.

4. იოსებ აბულაძემ განმარტა, რომ პროგრამა „ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის" ქვეპროგრამა „მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა" აგროწესების მიხედვით ნერგების დარგვა მიზანშეწონილია ადრე გაზაფხულზე, ქვეპროგრამით გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები დასრულდა დროულად აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ნერგების მიწოდება და ფერმერებზე გადაცემის ვადად ქვეპროგრამის საქმიანობის დროით გეგმაში გათვალისწინებული იქნას პირველ კვარტალში.

ასევე განმარტა რომ „სასოფლო–სამეურნეო გაერთიანებების სარეკლამო მოდელების ჩამოყალიბება და შემდგომი დანერგვის ორგანიზება" მანდარინის ნაყოფის დამკალიბრებელი და თხილის გამრჩევი დანადგარის შეძენასთან დაკავშირებით განმარტა, რომ რეგიონში შეიქმნა 5 სასოფლო სამეურნეო გაერთიანება, მათგან სამრეწველო– საწარმოო ნიშნის მიხედვით 4 გაერთიანება მეციტრუსეობისა და სუბტროპიკული მეხილეობის, ხოლო ერთი მევენახეობისა და კონტინენტალური მეხილეობის მიმართულებისაა.

ჩამოყალიბებული კოოპერატივები ითხოვენ სანიმუშო-სამრეწველო პლანტაციის მოწყობაში ხელშეწყობას, ასევე ციტრუსის (მანდარინის ნაყოფის) მობილური დამკალიბრებელი დანადგარისა და თხილის მობილური გამრჩევი დანადგარით აღჭურვის უზრუნველყოფაში ხელშეწყობას. აღნიშნულიდან გამომდინარე მეციტრუსეობის ზონის კოოპერატივებს მიეწოდება მანდარინის ნაყოფის დამკალიბრებელი მობილური დანადგარი (4 ერთეული), მეთხილეობის განვითარებით დაინტერესებულ კოოპერატივს მიეწოდება თხილის მობილური გამრჩევი (3 ერთეული).

5. კომისიის წევრის კახა შაშიკაძის მოხსენება პრიორიტეტის კომისიის 2014 წლის 20 მარტის #2 სხდომაზე მოწონებულ პროგრამის ცვლილებაში „საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა" ახალი ცვლილებების შეტანის შესახებ (დანართი #2).

აზრი გამოთქვეს და დასვეს შეკითხვები:

ნათია აფხაზავამ დასვა შეკითხვა, ა(ა)იპ აგროსერვისცენტრის მიერ მარანის მშენებლობასთან დაკავშირებით რამდენად მიზანშეწონილია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან აღნიშნული მშენებლობის დაფინანსება, როცა კერძო სექტორი არათანაბარ პირობებშია. ასევე დემურ დიასამიძემ დასვა შეკითხვა რომ მოხდება თუ არა მარანში წარმოებული ღვინის რეალიზაცია ბაზარზე? და თუ მოხდება მისი რეალიზაცია ბაზარზე ეს იქნება კონკურენცია სახელმწიფოს მხრიდან კერძო მეწარმეებზე?

კომისიამ დაადგინა:

1. მოწონებულ იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში - „რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა“, ,,ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობა“, მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა, სსიპ ,,ბათუმის ბულვარის“ პროგრამის, ააიპ „ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის“ პროგრამა „დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა“ და სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიის“ პროგრამა „საფრთხის შემცველი ობიექტებისათვის მომსახურების მიწოდება და მართვა“ - ცვლილებები.

2. დასმული შეკითხვებისა და გამოთქმული შენიშვნებზე კომისიის წევრის ვალერი ბერაძის განმარტებების მიღების/გათვალისწინების შემდგომ მოწონებულ იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში - სსიპ ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს“ პროგრამა ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია", სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის პროგრამა -,,სპორტის ხელშეწყობა“ და ,,ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობა“ ცვლილებები, ამასთან პროგრამებში -,,სპორტის ხელშეწყობა“ და ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია" თანხობრივი ცვლილებების (შემცირება) გათვალისწინებით.

3. დასმულ შეკითხვებსა და გამოთქმულ შენიშვნებზე კომისიის წევრის იოსებ აბულაძის განმარტებების მიღების/გათვალისწინების შემდგომ მოწონებულ იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამაში - ,,ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“ ცვლილება.

4. კენჭისყრაზე დაყენებულ იქნა საკითხი ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრისათვის“ მარანის მშენებლობისათვის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფის შესახებ, რაზეც 6 ხმის უფლების მქონე კომისიის წევრებიდან 3-მმა - იოსებ აბულაძემ, რომან ბოლქვაძემ და ვალერი ბერაძემ დადებითად, ხოლო 3-მმა - რამაზ ბოლქვაძემ, კახა შაშიკაძემ და დემურ დიასამიძემ უარყოფითად შეაფასეს. საბოლოო გადაწყვეტილებისათვის დამატებით განხილვისათვის წარედგინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრისათვის“ მარანის მშენებლობისათვის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფის შესახებ.

5. მოწონებულ იქნეს პრიორიტეტის კომისიის 2014 წლის 20 მარტის #2 სხდომაზე მოწონებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის პროგრამის ცვლილებაში „საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ ახალი ცვლილებება.

კომისიის წევრები:

იოსებ აბულაძე

რომან ბოლქვაძე

ვალერი ბერაძე

კახა შაშიკაძე

დემურ დიასამიძე

მოწვეული სტუმრები:

ნათია აფხაზავა

გიორგი შალამბერიძე

კომისიის თავმჯდომარე **რამაზ ბოლქვაძე**

კომისიის მდივანი ცირა აბულაძე